ახალგაზრდობის საერთაშორისო დღისა და ზაფხულის დღეების ღონისძიებების მომსახურების შესყიდვის ელექტრონული ტენდერის, სატენდერო კომისიის სხდომის ოქმი N 1

ქალაქი ფოთი „18" ივლისი 2019 წელი

სხდომას ესწრებოდნენ:

1. მამუკა პაპასკირი - ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე (კომისიის თავმჯდომარე);
2. პაატა ლაგვილავა - ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე);
3. ვასილ თოდუა - ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი, საჯარო დაწესებულების პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (კომისიის წევრი);
4. ნანა ჭანტურია - ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის შესყიდვების და მატერიალური უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, საჯარო დაწესებულების პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (კომისიის წევრი);
5. კახაბერ მაშავა - ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურული პროექტების მართვისა და ტრანსპორტის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, საჯარო დაწესებულების პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი (კომისიის წვრი);
6. მაია მაკალათია - ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი, საჯარო დაწესებულების პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (კომისიის წევრი).

კომისიის აპარატის წევრები:
1. მაია სულავა - ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის შესყიდვებისა და მატერიალური უზრუნველყოფის სამსახურის შესყიდვების განყოფილების უფროსი, საჯარო დაწესებულების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (აპარატის წევრი);
2. მაია სიხარულიძე - ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის შესყიდვებისა და მატერიალური უზრუნველყოფის სამსახურის შესყიდვების განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (აპარატის წევრი);
3. თეონა გეთია - ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (აპარატის წევრი).

შენიშვნა: სატენდერო კომისიის სხდომას არ ესწრებიან კომისიის წევრი ნიკოლოზ გრიგოლია და კომისიის აპარატის წევრი ინგა გიგიბერია.

დღის წესრიგი:
1. ახალგაზრდობის საერთაშორისო დღისა და ზაფხულის დღეების ღონისძიებების მომსახურების შესყიდვასთან დაკავშირებული სატენდერო დოკუმენტაციის დამტკიცების, ელექტრონული ტენდერის SPA გამოცხადების, შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულების დამტკიცებისა და ბიჯის განსაზღვრის შესახებ.
2. სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში, ახალგაზრდობის საერთაშორისო დღისა და ზაფხულის დღეების ღონისძიებების მომსახურების მომსახურების შესყიდვის მიზნით შევსებული სატენდერო პირობების პროექტის (დანართი N 3-ით განსაზღვრული კითხვარი) განხილვა/დამტკიცება.

განხილვა:
1. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურმა წარმოადგინა ახალგაზრდობის საერთაშორისო დღისა და ზაფხულის დღეების ღონისძიებების მომსახურების მომსახურების შესყიდვის მიზნით შედგენილი ტექნიკური დავალება.
2. სატენდერო კომისიის წევრებმა განიხილეს წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად შედგენილი სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ელექტრონულად შევსებული სატენდერო პირობები და აღნიშნეს, რომ იგი შეესაბამება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის, 2017 წლის 14 ივნისის, N 12 ბრძანების „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის" მოთხოვნებს.

სატენდერო კომისიამ დაადგინა:

1. ახალგაზრდობის საერთაშორისო დღისა და ზაფხულის დღეების ღონისძიებების მომსახურების შესყიდვა განხორციელდეს ელექტრონული ტენდერის SPA საშუალებით.
2. სატენდერო დოკუმენტაციის შესაბამისად, შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულება განისაზღვროს 12287,00 ლარი, დღგ-ს გარეშე, ბიჯი განისაზღვროს 123,00 ლარის ოდენობით.
3. დამტკიცდეს, ახალგაზრდობის საერთაშორისო დღისა და ზაფხულის დღეების ღონისძიებების მომსახურების შესყიდვის მიზნით, ელექტრონული ტენდერის SPA სისტემაში, ელექტრონულად შევსებული სატენდერო პირობების პროექტი.
4. სატენდერო კომისიის აპარატმა, განახორციელოს ელექტრონული ტენდერის, SPA საშუალებით შესყიდვასთან დაკავშირებული ღონისძიებები, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

კომისიის თავმჯდომარე: მამუკა პაპასკირი

კომისიის თავმჯდომარის მოადგილე: პაატა ლაგვილავა

კომისიის წევრები:

ვასილ თოდუა

ნანა ჭანტურია

კახაბერ მაშავა

მაია მაკალათია

Poti City Municipality

Digitally signed by Poti City Municipality
Date: 2019.07.18 14:50:11 +04'00'

კომისიის აპარატის წევრები:

მაია სულავა

მაია სიხარულიძე

თეონა გეთია